პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 28 ნოემბერი, 1944 წ. № 239 (7192). ფასი 20 კაპ.

**ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ წითელი არმიისა და ინგლისელ-ამერიკელთა ჯარების ერთობლივმა დარტყმებმა მოაახლოვეს ომის ძლევამოსილი დამთავრების ჟამი. მთავრდება ჰიტლერული გერმანიის გარემოცვა. ფაშისტი მხეცის ბუნაგი გარშემორტყმულია ყოველი მხრიდან და მტრის ვერავითარი ფანდი ვერ იხსნის მას უცილობელი სრული განადგურებისაგან.**

**ი. სტალინი**

# ბრძანება

## უმაღლესი მთავარსარდლისა

### არმიის გენერალ პეტროვს

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა დღეს, 26 ნოემბერს, ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე დაიკავეს ქალაქები **მიხალოვცე** და **გუმენე**—მოწინააღმდეგის კომუნიკაციების დიდმნიშვნელოვანი კვანძები და თავდაცვის დასაყრდენი პუნქტები.

ქალაქების **მიხალოვცესა** და **გუმენეს** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ **გრეჩკოს**, გენერალ-მაიორ **გასტილოვიჩის**, გენერალ-ლეიტენანტ **გორდეევის**, გენერალ-მაიორ **ზაპოროჟჩენკოს**, გენერალ-მაიორ **ვედენინის**, გენერალ-მაიორ **მელნიკოვის**, გენერალ-მაიორ **დრემინის**, პოლკოვნიკ **შუბას**, გენერალ-მაიორ **გრინჩენკოს**, გენერალ-მაიორ **გლადკოვის**, გენერალ-მაიორ **ლისინოვის**, გენერალ-მაიორ **ბეშკოს**, გენერალ-მაიორ **პროხოროვის**, გენერალ-მაიორ **დუდარევის**, პოლკოვნიკ **ვასილიევის**, პოლკოვნიკ **უგრიუმოვის**, პოლკოვნიკ **ტეტენკოს**, პოლკოვნიკ **ჩორნის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **კარიოფილის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ბრიჩენოკის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ნაიდენკოვის**, პოლკოვნიკ **ჩენგერის**, პოლკოვნიკ **ჟიგის**, პოლკოვნიკ **ბროზგოლის**, პოლკოვნიკ **მირონოვის**, პოლკოვნიკ **ხანოვიჩის**, პოლკოვნიკ **ცივჩინსკის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ჟიბურკუსის**, პოლკოვნიკ **პავლენკოს** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **შიროგოკოვის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **რაიკინის**, პოლკოვნიკ **სეროვის**, პოლკოვნიკ **მორუსის**, პოლკოვნიკ **ხოკპოს**, პოდპოლკოვნიკ **ოლხოვენკოს**, პოდპოლკოვნიკ **ვასილიევის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ჟდანოვის**, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ნანეიშვილის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **გოლოვნიას**, ავიაციის გენერალ-მაიორ **კოტელნიკოვის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **ლაკეევის**, პოლკოვნიკ **ჩუკის**, პოლკოვნიკ **ოგბუხოვის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **კოლესნიკოვის**, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **გოვოროვის**, პოლკოვნიკ **ჟურინის**, პოლკოვნიკ **ბარაშის**, პოლკოვნიკ **დავიდენკოს**, პოდპოლკოვნიკ **ბარკალოვის** მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **მატვეევის**, პოლკოვნიკ **ბელიანჩიკის**, პოლკოვნიკ **ნეკრასოვის**, პოლკოვნიკ **ეფიმოვის**, პოლკოვნიკ **სტეპანიანის**, პოდპოლკოვნიკ **ნუჟდინის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქების **მიხალოვცესა** და **გუმენეს** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 26 ნოემბერს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ასოცდათხუთმეტი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-4 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქები **მიხალოვცე** და **გუმენე**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქების **მიხალოვცესა** და **გუმენეს** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

**უმაღლესი მთავარსარდალი**
**საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი**

1944 წლის 26 ნოემბერი.

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### კოლონელ-ადმირალ ი. დ. პაპანინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის და ჩრდილოეთის საზღვაო გზის ათვისების სამუშაოთა უნარიანი ხელმძღვანელობისათვის, დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით, სსრ კავშირის სახკომსაბჭოთან არსებული ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს უფროსი კონტრ-ადმირალი ივანე დიმიტრის-ძე **პაპანინი** დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი.**

მოსკოვი, კრემლი. 1944 წლის 26 ნოემბერი.

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### მებრძოლი საფრანგეთის საჯარისო ნაწილ „ნორმანდიის“ ოფიცერთა შემადგენლობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“:

უფროს ლეიტენანტ მარსელ **ალბერტს**

უფროს ლეიტენანტ როლან **დე ლა პუაპს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1944 წლის 27 ნოემბერი.

## ს. მ. კიროვისადმი მიძღვნილი გამოფენა

ლენინგრადი, 27 ნოემბერი. (საკდესი). ს. მ. კიროვის სახელობის მუზეუმში გაიხსნა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა. პირველ განყოფილებებში თვალსაჩინოდ დადგენილია დოკუმენტები და სხვადასხვა მასალები ამხანაგ კიროვის ბავშვობისა და ჭაბუკობის, ჩრდილოეთ კავკასიაში მისი მოღვაწეობის, ასტრახანის გმირული დაცვის ხელმძღვანელობის, ბაქოში მუშაობის შესახებ.

ლენინგრადში სერგეი მირონის-ძის მოღვაწეობისადმი მიძღვნილ დარბაზში, სხვა დოკუმენტებს შორის ვიტრინებშია ს. მ. კიროვის პარტიული ბილეთი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის ბილეთი, ჩარხანა „კრასნი პუტილოვეცის“ პარტიული კომიტეტის წევრობის მანდატი № 1.

„განვამტკიცოთ თავდაცვა, განვამტკიცოთ პარტია“,—გამოერჩევა ერთ-ერთ ვიტრინაში მცირე სტარეროები, რომლებიც დაწერილია სერგეი მირონის-ძის ხელით. ეს არის მოხსენიების კონსპექტი საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტის 1934 წლის 27 თებერვლის პლენუმზე საკავშირო კ. პ. (ბ) XVII ყრილობის შედეგების შესახებ.

„ჩვენი ლენინგრადელი მუშები იყვნენ და ყველაც იქნებიან მშვიდობიანი სოციალისტური შრომებლობის მოწინავე პოზიციებზე და, თუ საჭირო იქნება, პარტიისა და სახელმწიფოს ხელისუფლების ბრძანებისთანავე მოწინავე და საბასუხისმგებლო პოზიციებს დიციპლინებენ ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ დაცვაში“. — ამ სიტყვებით იწყება გამოფენის განყოფილება „კიროვი ჩვენთან არის“. აქ თავმოყრილია მასალები ლენინგრადში სახალხო ლაშქრის ორგანიზაციის შესახებ, კიროვის რაიონის შეიარაღებულ რაზმებზე, რომლებიც თავდადებულად იცავდნენ მტრისაგან - შრომელთა ქალაქს, კიროვის სახელობის ქარხნის შრომელთა მიწურ-მოწერა ფრონტელებთან, კიროვსკი „კიროვის“ ფოტოსურათები, ფოტოდოკუმენტები ფრონტისათვის ამ ქარხნების შრომელთა თავდადებული მუშაობის შესახებ, რომლებიც კიროვის სახელს ატარებენ, და ა. შ.

გამოფენა მთავრდება ამხანაგ ჟდანოვის სიტყვებით—„ის საქმე, რომლისთვისაც იბრძოდა კიროვი, ჩვენი მრავალქალაქიანი გმირი ხალხისა და დიდი სტალინის მტკიცე ხელშია“.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 26 ნოემბრის ოპერაციული ცნობა

**უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა 26 ნოემბერს ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე დაიკავეს ქალაქები მიხალოვცე და გუმენე—მოწინააღმდეგის კომუნიკაციების დიდმნიშვნელოვანი კვანძები და თავდაცვის დასაყრდენი პუნქტები, ავრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბორბოკ ჩაბინე, პაპინი, ზუბნე, სნინა, უდავსკე, კამენიცა, მიშლინა, ვინე, ზგუძა, ლასტოვირი, გუდკოვცე, გეშა, ლელესი და რკინიგზის სადგურები ბორბოკ ჩაბინე, სნინა, ციროცკე, დლუგე, გუდკოვცე.**

**უნგრეთში ჩვენმა ჯარებმა, შეუპოვარი ბრძოლების შედეგად, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი ხატვანი.**

**ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.**

**25 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 22 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 12 თვითმფრინავი.**

### 27 ნოემბრის ოპერაციული ცნობა

**27 ნოემბრის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დლგონინა, სვინდნიჩა, კრუშლოვა, კაპიშოვა, ლადომიროვა, შემეტკოვცე, მალიე და ვილიკე სტაროკოვცე, ნიჟნაია ოლკა, გრაბოვეცი, ნაცინა ვესი, ლაშკოვცე, გატალოვი, დუბროვკა, ოგორინი, სენტეში და რკინიგზის სადგურები რადვანი, კოტკოვცე, ველიკი გირეში, სტრაუნე.**

**ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.**

**26 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 21 ტანკი.**

* * *

ჩეხოსლოვაკიაში ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით წაიწიეს წინ 10 კილომეტრამდე. „ერმანელებისაგან გაწმენდილია რკინიგზის დიდი უბანი ქალაქ გუმენეს ჩრდილოეთით. მოწინააღმდეგემ უკანდახევისას გზები დანაღმა და ხიდები აიფეთქა. საბჭოთა ქვეითები გადადიან მთებზე, გადიან მთის მრავალ მდინარეში, დაეინებით სდევნიან ჰიტლერელებს და დიდ ზარალს აყენებენ მათ ცოცხალ ძალისა და ტექნიკის მხრივ. ჩვენი ჯარები მდინარე ლაბორეცზე გადავიდნენ და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს მის დასავლეთ ნაპირზე. ტყვედ წამოყვანილია 470 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, წამოღებულია 15 ქვემეხი, 35 ტყვიამფრქვევი და სხვა დაგლა.

ქალაქ უჟგოროდის დასავლეთით ჩვენი ნაწილები შეტევას აწარმოებენ დაბლობ ხეობაში, რომლის მინდვრები და ველები დაფარულია წყლით. მიუხედავად უგზოობისა, საბჭოთა ქვეითაყოფები ფარფოდ აყენებენ შემოკლითს მანეკრებს, უკანდასახევ გზებს უჭრიან მოწინააღმდეგის ნაწილებს და სპობენ მათ. ერთი ჩვენი ბატალიონის მებრძოლებმა უეცრად მიტანეს იერიში მტრის მეზენიტეებზე, რომლებიც ცდილობდნენ მდინარე ლატორიცაზე გადასვლას. ხელთ ვიგდეთ უნგრეთის 52-ე საზენიტო საარტილერიო დივიზიონის მთელი მატერიალური ნაწილი და ალალ. სხვა უბანზე ჩვენი ძოძრავი რაზმი დაეწია გერმანელთა საარტილერიო დივიზიონს და გაანადგურა ეგი. ხელთ ვიგდეთ მოწინააღმდეგის ს

# გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების ბოროტმოქმედებათა შესახებ ესტონეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

### (გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისა და მათი თანამონაწილეების ბოროტმოქმედებათა დამდგენი და გამომკვლევი საგანგებო სახელმწიფო კომისიის ცნობიდან)

ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოკუპაციის პირველი დღეებიდან გერმანელებმა და მათმა თანამონაწილეებმა გააუქმეს ესტონელი ხალხის სახელმწიფო დამოუკიდებლობა, დაიწყეს „ახალი წესრიგის“ შემოღება, კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების აღმოფხვრა, მშვიდობიანი მოსახლეობის გაჟლეტა და საკატორღო სამუშაოზე გერმანიაში გარეკვა, ქალაქების, სოფლებისა და ხუტორების გაპარტახება და გაძარცვა.

* * *

ცდილობდნენ რა გადაექციათ საბჭოთა ესტონეთი გერმანიის კოლონიად, ჰიტლერელებმა მთლიანად მოსპეს მისი დამოუკიდებლობა და თავისუფლება, წაართვეს ესტონელ ხალხს ყველა პოლიტიკური და ეკონომიური უფლება.

1941 წლის 17 ივლისს ჰიტლერმა თავისი დეკრეტით საკანონმდებლო ძალაუფლება ესტონეთის ტერიტორიაზე რაიხსმინისტრ როზენბერგს გადასცა. ესტონეთში შემოღებულ იქნა თვითნებობა, მძვინვარებდა ტერორი მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. ესტონელ ხალხს საკუთრივ წაართვეს ყოველგვარი პოლიტიკური უფლება. 1942 წლის 17 თებერვალს სპეციალურად იმ მიზნითვის გამოცემული კანონით, რომელნიც გერმანულ ეროვნებას არ ეკუთვნოდნენ, დაწესებულია სიკვდილით დასჯა გერმანიზაციის წინააღმდეგ ოდნავი გამოსვლისათვის და გერმანული ეროვნების პირების წინააღმდეგ ყოველგვარი ძალადასტანებითი მოქმედებისათვის. ესტონელ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ოკუპანტებმა სასჯელად შემოიღეს შაშველ სხეულზე ჯოხით ცემა.

როზენბერგის მითითებით შეიქმნა „საგანგებო სასამართლოები“. მათ მუდამ მხოლოდ სიკვდილით დასჯას განაჩენები გამოაქვთ და ქონების კონფისკაციას ახდენდნენ. გარდა ამ „სასამართლოებისა“, სიკვდილით დასჯის განაჩენები გამოაქვთ აგრეთვე გერმანიის პოლიტიკურ პოლიციის.

რათა მიეღწიოთ ესტონელი ხალხის უფრო ეფექტიანი ექსპლოატაციისა და დამონებისათვის, ოკუპანტებმა შეაქმნეს ე.წ. „ესტონეთის თვითმმართველობა“ სამშობლოს მოღალატე მიაეს მეთაურობით. მას ნება ეძლიოდა გამოეცა დადგენილებანი და ინსტრუქციები. მაგრამ ეს ფანდი იყო, რაც ფაშისტებს ხალხის მოსატყუებლად სჭირდებოდათ. ფაქტიურად კი ყველა დადგენილება გერმანელ ხელისუფალთაგან გამომდინარეობდა. გერმანული ენა ესტონეთის სახელმწიფო ენად იქნა დაწესებული.

ფაშისტი გენერალური კომისარი ლიქმანი, ასრულებდა რა ზევიდან მიღებულ მითითებებს, ჰქმნიდა ესტონელი ხალხისა და მისი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მოჩენებითობას. სინამდვილეში კი თავის გამოსვლებში იგი აშკარად ამბობდა, „დამოუკიდებელი ესტონეთის სახელმწიფო არასოდეს აღარ იარსებებსო“. მთელ რიგ დოკუმენტებში ჰიტლერელი დამპყრობნი ხაზგასმით აღნიშნავდნენ მისწრაფებას დამყარებინათ გერმანელთა ბატონობა ბალტიის ზღვაში.

* * *

ესტონეთი გერმანიის კოლონიად რომ გადაქცეულ, ფაშისტმა დამპონებლებმა ესტონელ ხალხს არც მისი კულტურა დაუტოვეს.

პირველ რიგში ოკუპანტები შეუდგნენ ბიბლიოთეკების წმენდას. ესტონეთის ქალაქების მოედნებზე გაჩაღდა კოცონები, რომლებზეც ფერფლად იქცეოდა ესტონეთის ეროვნული შემოქმედების განძები და ევროპის ხალხთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებნი. წერილებსა და პოეტებს, რომლებიც ფაშისტურ მონობაში აღმოჩნდნენ, ნებას არ აძლევდნენ დაებეჭდათ თავიანთი ნაწარმოებნი. მრავალი მათგანი ფაშისტებმა საკონცენტრაციო ბანაკებში დაამწყვდიეს და მხეცურად წამეს საყურობილეებში. ასეთივე ბედი ეწიათ ნიჭიერ მხატვრებს, მსახიობებსა და მეცნიერებს, რომლებმაც არ ისურვეს გერმანელებისათვის ემუშაონათ. ჰიტლერელებმა გერმანიაში გაზიდეს ხელოვნების 10.000-ზე მეტი ნაწარმოები. მათ დასწვეს ესტონეთის ნაციონალური მუზეუმი, რომელიც ტარტუს მახლობლად არსებობდა, გაძარცვეს და ნაწილობრივ დაანგრიეს ტარტუს უნივერსიტეტი, რომელსაც 300 წელზე მეტი ხნის სახელოვანი წარსული აქვს. გერმანელები უფლებას ძლევდნენ თეატრში დადგათ ოპერები და ოპერეტები მხოლოდ გერმანულ ენაზე. უკანდახევის წინ მათ მთელ რიგ ქალაქებში თეატრებს ცეცხლი წუკიდეს და არქიტექტურის ისტორიული ძეგლები დაანგრიეს.

* * *

ომამდელ უკანასკნელ წელს ესტონეთში სწრაფად ვითარდებოდა მრეწველობა. უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა ფიქალის მრეწველობას. გერმანელმა მარბადოსებმა თითქმის მთლად მოსპეს ამ მრეწველობის საწარმოები. მათ დაანგრიეს აგრეთვე მანქანათმშენებელი ქარხანა და ლითონდამამუშავებელი ქარხანა ტარტუში, სამსხმელო ქარხანა ნარვაში, მოტორმშენებელი ქარხანა პირონუში და სხვები.

ფაშისტებმა ნანგრევებად აქციეს ნარვა ბამბეულის ფაბრიკა „კრენგოლმის მანუფაქტურა“. ეს საფეიქრო მრეწველობის გიგანტი იყო. ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე მას ნახევარ მილიონამდე თითისტარი ჰქონდა. გერმანელებმა მთლად დაანგრიეს ნარვის სხვა საფეიქრო საწარმოებიც.

ესტონეთის ქალაქებში გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა დასწვეს და დაანგრიეს 9.200 სახლი. განსაკუთრებით დიდი ნგრევა მოახდინეს ნარვაში. 3.500 სახლიდან ამ დარჩა მხოლოდ 114 და ისინიც მნიშვნელოვან რემონტს საჭიროებენ. ტალინში გერმანელებმა 1.885 სახლი დაანგრიეს. გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს განზრახული ჰქონდათ ესტონეთის დედაქალაქი ნანგრევთა გროვად გადაექციათ. ტალინის განთავისუფლების შემდეგ აღმოჩენილ იქნა 75 დანაღმული ადგილი და ამოღებულ იქნა 100 ტონაზე მეტი ასაფეთქებელი ნივთიერება და ფუგასი. ჰიტლერელებმა დიდი ზარალი მიაყენეს ქალაქების კომუნალურ საწარმოებსაც.

აყვავებული ესტონეთი ჰიტლერელებმა ინფექციურ დაავადებათა გამავრცელებლად აქციეს. მოსახლეობაში არაჩვეულებრივი რაოდენობით ვრცელდებოდა პარატიფიანი ტიფი, დიზენტერია, დიფტერიტი და სხვა, ავადმყოფობანი.

საოკუპაციო ხელისუფალნი სამედიცინო დახმარებას არ უწევდნენ მოსახლეობას, არღვევდნენ სრულიად ელემენტარულ მოთხოვნილებებს წყლის დაცვის დარგში. სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა შენობები გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა საწყობებად და ჯარისკაცთა უანგარებად გამოიყენეს ან დასწვეს და დაანგრიეს.

* * *

გერმანელი დამპყრობლები აღვირახსნილად ძარცვავდნენ ესტონეთის სოფლის მოსახლეობას. მიწა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ 1940 წელს ღარიბ გლეხებს გადასცა, საერთო ფართობით 404 ათასი ჰექტარი, გერმანელებმა ჩამოართვეს მათ. ჰიტლერელებმა აიძულეს გლეხები გადაეცემათ არა მარტო მიწის ძველი ვალები, არამედ დაფარათ ის სესხიც, რაც მათ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა.

გერმანელთა მტაცებლური თარეშისა და მათ მიერ ესტონელი გლეხების გააფთრებული ექსპლოატაციის შედეგად, 1944 წელს მარცვლეულის ნათესთა ფართობი 1941 წელთან შედარებით 35 პროცენტით შემცირდა. კარტოფილის ნათესები ამავე დროის განმავლობაში 31 პროცენტით შემცირდა, სელისა—64 პროცენტით. გერმანელი ოკუპაციის წლებში მოსპობილია 35 ათასი ჰექტარი ტყე.

გერმანელებმა გლეხებს ჩამოართვეს და გერმანიაში გარეკეს 107 ათასი ცხენი, 31 ათასი ძროხა, 214 ათასი ღორი, 790 ათასი ფრთა შინაური ფრინველი, გაძარცვეს 50 ათასამდე ყაფფაკარი. საბჭოთა ხელისუფლების დროს ესტონეთში ჩამოყალიბებულ იქნა 25 მტს-ი 350 მუხლუხიანი ტრაქტორის საერთო პარკი. გერმანელებმა დაანგრიეს და გაძარცვეს ეს საოდგურები, აგრეთვე წაართვეს გლეხებს პირადად კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები.

* * *

გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა მათ მიერ დაპყრობილი ესტონეთის ტერიტორია საკონცენტრაციო ბანაკების, საპყრობილეებისა და გესტაპოს ჯურღმულების ხშირი ქსელით დაბფარეს და დაუნდობლად ექეტდნენ მშვიდობიან მოქალაქეებსა და სამხედრო ტყვეებს.

დაპატიმრებულ საბჭოთა მოქალაქეებს ბანაკებში ნიმრებს მიაკუთვნებდნენ ხოლმე და ბეარებს უსპობდნენ. სცემდნენ მათრახით, რკინის ჯოხით, იყენებდნენ აუტანელ სამუშაოებზე დღეში 16-18 საათს. ნორმების შეუსრულებლობისათვის მათ საჭმელს არ აძლევდნენ, სასტიკად სცემდნენ და ხვრეტდნენ. თავიანთ ბოროტმოქმედებათა კვალი რომ დაეფარათ, გერმანელები კოცონზე სწვავდნენ მოკლულთა გვამებს.

ტალინის სამხრეთ-დასავლეთით 44 კილომეტრზე საგარაკო დაბა კლოგა-ვედლინში, 1943 წლის სექტემბერში გერმანელმა ოკუპანტებმა შეაქმნეს „ტოდტის“ ორგანიზაციის მუშათა საკონცენტრაციო ბანაკი. განურჩევლად სქესისა და ასაკისა დაპატიმრებულნი საკატორღო რეჟიმში ჰყავდათ. ბანაკში ყოველდღე ხდებოდა საჯარო გაშოლტვა ამისათვის სპეციალურად მოწყობილ დაზგაზე. ოდნავი დანაშაულისათვის დაპატიმრებულთ ორ დღე-ღამეს უჭმელს სტოვებდნენ. ძლიერ ყინვაში 2-3 საათით ბოძზე მიაბამდნენ. დაპატიმრებულებს აბუჩად იგდებდნენ არა მარტო მცველი სს-ელები, არამედ ბანაკის ადმინისტრაცია და გერმანელი ექიმებიც. გერმანელი ექიმი ბოტანი სისტემატურად სწამლავდა ავადმყოფ პატიმრებს კინქვეშა ზმის შეშაპუნებით. ბანაკის სანიტარმა გენტმა ნაჯახით მოჰკლა 23 ლრმად მოხუცებული პატიმარი. მოწმე ი. მ. რატნერმა აჩვენა: „1944 წლის თებერვალში ბანაკში ორი ბავშვი დაიბადა, ორივე ეს ბავშვი ცოცხლად შეიგდეს საცეცხლფარეშოს ღუმელში და დასწვეს, მე თვითონ ვხედავდი, როგორ სწვავდნენ ბავშვებს“.

1944 წლის 19 სექტემბერს გერმანელებმა პატიმრებიდან 300 კაცი გადაარჩიეს და აიძულეს ისინი მიეზიდნათ შეშა ტყის ველზე, სხვა 700 კაცი აიძულეს კოცონები დაენთოთ. როცა კოცონები მზად იყო, გერმანელი ჯალათები შეუდგნენ პატიმართა მასობრივ ხვრეტას. პირველ რიგში დახვრიტეს შეშის მომტანები და კოცონების დამნთებნი. შემდეგ კი დანარჩენები. დახვრეტილებს კოცონებზე სწვავდნენ.

1942 წლის ივლისში სადგურ რასიკუზე ჰიტლერელებმა მიიყვანეს 3 ათასი კაცი, შემდეგ ავტობუსებით გადაიყვანეს ისინი კალევი-ლივის ბორცვებთან და იქ დახვრიტეს. შემდეგ 1943 და 1944 წლების განმავლობაში ჰიტლერელებს ამ ბორცვებთან მიჰყავდათ მშვიდობიანი მოქალაქეების ახალი ჯგუფები და ხვრეტდნენ მათ. გამოძიებით დადასტურებულია, რომ ფაშისტებმა აქ 5 ათასამდე კაცი მოსპეს.

ქალაქ ნარვაში ბანაკებში მუდმივად იმყოფებოდა ათი ათასობით ადამიანი. სამი წლის განმავლობაში ჰიტლერელებმა აქ 30 ათასამდე მშვიდობიანი მოქალაქე და საბჭოთა სამხედრო ტყვე მოსპეს.

* * *

საგანგებო სახელმწიფო კომისია ყველა ბოროტმოქმედებისათვის, კულტურულ და მატერიალურ ღირებულებათა დანგრევისა და ძარცვისათვის პასუხისმგებლად სთვლის ჰიტლერულ მთავრობას, გერმანიის სამხედრო სარდლობას, აგრეთვე ბოროტმოქმედებათა კონკრეტულ ორგანიზატორებსა და შემსრულებლებს: გენერალ-ფელდმარშალ ფონ-ლეგებს, გენერალ-ფელდმარშალ ფონ-კიუხლერს, გენერალ-პოლკოვნიკ მოდელს, გენერალ-პოლკოვნიკ ლინდემანს, ქვეითი ჯარის გენერალ ფრისნერს, გენერალ-პოლკოვნიკ შერნერს, გერმანიის გენერალურ კომისარს ობერგრუპენფიუერერ კარლ ლიცმანს და სხვებს.

ისინი ყველანი მკაცრად უნდა დაისაჯონ და დაისჯებიან კიდეც მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთათვის. (საკდესი).

# დღეიდღეობა

## საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

**ლონდონი**, 27 ნოემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია: მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც განაგრძობენ ოპერაციებს მოწინააღმდეგისაგან მაასის რაიონში (ჰოლანდია) „ტომრის“ გასაწმენდად, მიაღწიეს ბლიტერსვეიკს და ბრუკჰეიზენს. ვენლოს ჩრდილოეთით დარჩა მტრის წინააღმდეგობის მხოლოდ დაჭასული კერები მაასის დასავლეთით.

ოელიბის დასავლეთით მდებარე რაიონში მოკავშირეთა ქვეითი ჯარი და ტანკები კონტრიერიშებს განაგრძობდნენ. უფრო სამხრეთით ქუჩებში გაჩაღებული შეუპოვარი ბრძოლების შედეგად მოწინააღმდეგისაგან გაწმენდილია ვაისენკირხენ. მოკავშირეთა ნაწილები წინ მიიწევენ აღმოსავლეთისაკენ.

მეტიეგის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე საარის ხეობაში, მოკავშირეთა ჯარებმა ობერშმ მიაღწიეს.

მეცის (საფრანგეთი) აღმოსავლეთით მოკავშირეებმა წინ წაიწიეს, მიუხედავად მოწინააღმდეგის კონტრიერიშებისა. ხელთ ვიგდეთ ფორტი სომნი და ფორტი სენ-ბლუნი. მოწინააღმდეგემ დასტოვა ფორტი მარიეალი. მოკავშირეთა ნაწილებმა წინ წაიწიეს ერთნახევარი მილით და დაიკავეს რიკრანეი, 17 მილზე მეცის ჩრდილო-აღმოსავლეთით. მოკავშირეთა სხვა ქვედანაყოფებმა დაიკავეს ციმენგენი სენტ-ავოს ჩრდილო-დასავლეთით. გუტენბრუნერის ტყე ფინშტინგერის ჩრდილოეთით გაწმენდილია მოწინააღმდეგისაგან; მოკავშირეებმა 3 მილით წაიწიეს წინ და ჰუნკირხს მიაღწიეს.

საარბურგის ჩრდილოეთით მოკავშირეებმა გერმანელთა კონტრიერიშები მოიგერიეს და დაკავებული პოზიციები დაიბრუნეს.

მოკავშირეთა ნაწილები გავიდნენ ელზასის დაბლობზე სტრასბურგის დასავლეთით.

საშუალო და მსუბუქი ბომბდამშენები თავს დაესხნენ საომარი მასალისა და საწყობებს გომბურგში, გისენსა და ბერგაბერნში. მძიმე ბომბდამშენები ავიაგამანადგურებელთა თანხლებით თავს დაესხნენ დასავლეთ გერმანიის ობიექტებს.

**ლონდონი**, 27 ნოემბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში, ქალაქ ფაენციის აღმოსავლეთით, მე-8 არმიის ნაწილებმა წინ წაიწიეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ქალაქ რუსის მიმართულებით. ფაენციის სამხრეთით ინგლისელთა ნაწილებმა, რომლებიც მდინარე მარეგნოზე შეეჭნილი თაღოანთი ხიდწინა სიმაგრიდან უტევენ, მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს მდინარე ლამონეს აღმოსავლეთით და ბრიზიგელას ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონი. მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს აგრეთვე ქალაქ მოდილიანის ჩრდილოეთით და დაიკავეს მაღლობები მონტე ბიკოჩა და მონტე პრუნოტო. მე-5 არმიის ამერიკელთა და ინგლისელთა ნაწილებმა მოწინააღმდეგის რამდენიმე ძლიერი იერიში მოიგერიეს.

## ამერიკელი რადიოკომენტატორი ბელგიაში აჩსებული მდგომარეობის შესახებ

**ნიუ-იორკი**, 25 ნოემბერი. (საკდესი). რადიოკომენტატორმა სტილმა მკაცრად გააკრიტიკა ბელგიის მთავრობის მოქმედება პატრიოტების წინააღმდეგ. სტილმა განაცხადა, რომ პროგრესული განმათავისუფლებელი ძალები ბელგიის შიგნით არ შეიძლებოდნენ მუდმივად ჩაბნობილნი დარჩნენ. „ბელგიის ახლანდელ ამბებს შეიძლება ეწოდოს კარტელების პოლიტიკური კონტრშეტევა. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ბელგიის მთავრობები უმეტესად იყენენ მხოლოდ მარინენტები „სოსიეტე ჟენერალ დუბელჟიკისა“ — საერთაშორისო სინდიკატისა, რომელიც კონტროლს უწევდა ბელგიის ყველა სამრეწველო საწარმოს და კოლონიებში არსებულ ბანკებს.

პიერლოს მთავრობა გამონაკლისს არ წარმოადგენს, და იგი, როგორც სჩანს, ფიქრობს, რომ მისი მისია წინანდელი სტატუს-ქვოს აღდგენაა, რაც ჰგულისხმობს ბელგიელ მრეწველთა გადარჩენას, რომელნიც გერმანელებთან თანამშრომლობდნენ და ცდილობდნენ მიეღოთ გერმანიის სამფლობელოები რუსში. რა თქმა უნდა, გერმანიის მრეწველობის მაგნატები, რომლებიც ოკუპაციის დროს ბელგიის კარტელში შევიდნენ, მიესალმებოდნენ გერმანიის კარტელებთან ბელგიელ მრეწველთა „შეერთებას, იმიტომ რომ ეს ხელს შეუწყობდა გერმანიის მრეწველობის შენარჩუნებას“.

## დემონსტრაცია ბრიუსელში

**ლონდონი**, 26 ნოემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, 25 ნოემბერს ბრიუსელში შესდგა დიდი დემონსტრაცია, რომელიც მოწყობილი იყო ბელგიაში წინააღმდეგობის ერთ-ერთი უდიდესი ჯგუფის — „ფორნ ენდეპანდანსის“ ხელმძღვანელობით. დემონსტრაციაში რამდენიმე ათასი კაცი მონაწილეობდა. როდესაც დემონსტრანტები იმ რაიონში მივიდნენ, სადაც საქმინისტროები იმყოფებიან, მათ წინააღმდეგობა გაუწია პოლიციამ, რომელმაც სროლა ატეხა.

ბრიუსელში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ დემონსტრანტთა შორის დაჭრილია 31 კაცი. პოლიციელთა შორის 3 კაცი დაიჭრა.

## ბაიაზმა შეადგინა ირანის ახალი კაბინეტი

**თეირანი**, 25 ნოემბერი. (საკდესი). ბაიატმა (სპეიმ-ეს-სალტანემ) დღეს შეადგინა და შაჰს წარუდგინა ირანის ახალი მთავრობა. ხვალ კაბინეტი მეჯლს სს წარუდგება.

## ბონომის მთავრობა გადადგა

**ლონდონი**, 26 ნოემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო რომიდან გადმოგვცემს, იტალიის პრემიერ-მინისტრმა ივანონე ბონომი და მთავრობის მთელი შემადგენლობა გადადგა.

## ფინეთის ფაშისტური ორგანიზაციის „ლოტა-სვიარდის“ დაშლა

**ჰელსინკი**, 26 ნოემბერი. (საკდესი). ჰელსინკის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ოფიციალური ცნობა, რომ 23 ნოემბერს, დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების 21-ე მუხლის საფუძველზე, სახელმწიფო საბჭომ დაადგინა დაშლილ იქნას ორგანიზაცია „ლოტა-სვიარდი“ მთელი მისი განყოფილებებიანად („ლოტა-სვიარდი“ ქალთა ფაშისტური ორგანიზაცია იყო ფინეთში).

## თავდასხმები გერმანიაზე

**ლონდონი**, 26 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ავიაციის სამინისტრომ გამოაცხადა, 25 ნოემბერს ღამით ოგლეთის „მოსკიტოს“ მარკის ბომბდამშენთა ესკადრილიები თავს დაესხნენ ნიურნბერგს და დასავლეთ გერმანიის სხვა პუნქტებს.

რეიტერის საგენტოს ცნობით, ამერიკის 1.100-ზე მეტი მძიმე ბომბდამშენი დღეს დაახლოებით 700 ავიაგამანადგურებლის თანხლებით თავს დასხა ნავთსაწმენდ ქარხანას მისბურგში ჰანოვერის მახლობლად, რკინიგზის ვიადუკს ბილეფელდში. დამხარისხებელ სადგურს ჰამში და სხვა სამხედრო ობიექტ ებს ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში.

## მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

**ლონდონი**. 26 ნოემბერი. (საკდესი). ოპერაციების ევროპის ასპარეზზე მოქმედი ამერიკელთა ავიაციის შტაბი იუწყება, რომ 25 ნოემბერს ამერიკის მძიმე ბომბდამშენები თავს დაესხნენ გერმანიის სინთეზური საწვავის ერთ-ერთ ქარხანას და სამხედრო ობიექტებს მერზებურგსა და ბინგენში. ბომბდამშენები მოქმედებდნენ ესკორტის თანხლებით, რომელშიც ათასზე მეტი ავიაგამანადგურებელი მონაწილეობდა.

## ამერიკის ავიაციის ახალი თავდასხმა ჩოკიოზე

**ლონდონი**. 27 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ „მფრინავი ციხის“ მარკის ზემძლავრი ბომბდამშენები 27 ნოემბერს დღისით თავს დაესხნენ ტოკიოს და დაბომბეს ქალაქის სტრატეგიული და სამრეწველო ობიექტები. თავდასხმაში მონაწილე თვითმფრინავები კუნძულ საიპანის ბაზებიდან აფრინდნენ.

## ლონდონს ჩავიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენლები

**ლონდონი**, 26 ნოემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, ვუშინ ლონდონს ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის სამხედრო საქმეთა კომისიის 17 წევრი. მათ განზრახული აქვთ დაათვალიერონ სამხედრო ობიექტები და ინახულონ ფრონტები.

## საინარმოო პროფკავშირთა კონგრესის გადაწყვეტილება პროფკავშირთა საერთაშორისო ყრილობაში მონაწილეობის შესახებ

**ჩიკაგო**, 24 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). ამერიკის შეერთებული შტატების საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს საერთაშორისო პროფკავშირული ერთიანობის დამყარებისაკენ. „საწარმოო პროფკავშირთა კონგრესმა,—ნათქვამია რეზოლუციაში,—თანმიმდევრულად მოუწოდა მუშათა საერთაშორისო ერთიანობის დამყარებისაკენ, რომელიც ეროიცავს ყველა გაერთიანებული ერისა და ყველა თავისუფალი ქვეყნის პროფკავშირებს. ასეთი ერთიანობა უაღრესად საჭიროა ომში გამარჯვების დასაჩქარებლად და ომის შემდეგ სამართლიანი და მტკიცე მშვიდობიანობის დასამყარებლად“.

„საწარმოო პროფკავშირთა კონგრესი, — ნათქვამია რეზოლუციაში,—მიესალმება მუშათა ახალი, ერთიანი, მძლავრი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის პერსპექტივას, რომელშიც თანასწორი უფლებებით უნდა შევიდეს თავისუფალი ქვეყნების ყველა პროფკავშირი სრულიად უგამონაკლისოდ, რომელმე მთგანისათვის მეორეხარისხოვანი ადგილის მიუნიჭებლად, ორგანიზაციისა, რომელსაც უნარი ექნება დაიცვას უბრალო ადამიანთა ინტერესები“.

## ჰოლანდიელმა პატრიოტებმა გადაარჩინეს განთქმულ მხატვართა სურათები

**ლონდონი**, 27 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო გადმოგვცემს, 1940 წ. მაისში ჰოლანდიელმა პატრიოტებმა გერმანელებს სანაპიროს პატარა დაბაში დაუმალეს განთქმული ფლამანდიელი ოსტატების — რემბრანდტის, რუბენსის, გალსისა და სხვების სურათები. შემდეგში სურათები გადატანილ იქნა მიწისქვეშეთში ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში, მდინარე მაასის მახლობლად. იქ სურათები იმყოფებოდა ოკუპაციის მთელი პერიოდის განმავლობაში. გერმანელებმა მათი აღმოჩენა ვერ შესძლეს. სურათები დაუზიანებელია, და ახლა გერმანელთა ხელიდან შემდეგ ისინი ამოტანილია მიწისქვეშეთიდან.

# ვანო სარაჯიშვილის ხსოვნის საღამო

26 ნოემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსან ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში შესდგა გამოჩენილ მომღერალ საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტ ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

სარაჯიშვილის ხსოვნის პატივსაცემად შეიკრიბნენ საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, თბილისის საწარმოთა მოწინავე სტახანოველები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები, მწერლები, წითელი არმიის მებრძოლები და მეთაურები.

პრეზიდიუმის მაგიდასთან არიან ო. ეგაძე, გ. ყორეიკაშვილი, გ. ჯიბლაძე, დ. არაყიშვილი, ა. ხორავა, ა. ვასაძე, ვ. ჩერქეზიშვილი, ნ. გოცირიძე, გ. კილაძე, ს. ინაშვილი, ლ. ისეკაი, ი. გრიშაშვილი, მ. კვალიაშვილი, ჰ. კანდელაკი, გ. ქიქოძე, ლ. ქიაჩელი, უ. ჯაფარიძე, მ. თოიძე, დ. კაკაბაძე, მომღერლის ქვრივი, ვ. ანჯაფარიძე, ნ. ვაჩნაძე, სომხეთის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი ამხ. ვართანიანი და სხვები.

საღამოს დაესწრნენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი კ. ჩარკვიანი, ამიერ-კავკასიის რკინიგზის უფროსი ამხ. გ. კიკნაძე, გენერალ-ლეიტენანტი ნ. რუხაძე და სხვ.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსმა ამხ. ო. ეგაძემ, რის შემდეგაც გრამოფონზე ჩანაწერით შესრულებულ იქნა სარაჯიშვილის სიმღერა.

მოგონებებით ვ. სარაჯიშვილის შესახებ გამოვიდნენ მისი ახლო მეგობრები—საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ს. ინაშვილი და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. ელიოზიშვილი. პოეტმა ი. გრიშაშვილმა დიდი გრძნობით წაიკითხა მომღერლისადმი მიძღვნილი ლექსი. საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ნ. ვაჩნაძემ ილაპარაკა ერთ-ერთ პირველ ქართულ კინოსურათ „მამის მკვლელში“ სარაჯიშვილთან ერთად გადაღებებზე.

ოფიციალური ნაწილის შემდეგ დაიწყო საკონცერტო განყოფილება, რომელსაც თან ახლდა ტექსტობრივი განმარტება ვანო სარაჯიშვილის შემოქმედების შესახებ, რასაც კითხულობდა სსრ კავშირის სახალხო ტესტი [illegible]

კონცერტის პროგრამაში [illegible] ქართული და დასავლეთ-ევროპული [illegible] მკაფიო ნომუშები. „ნაჩვენები იქნა [illegible] „აბესალომ და ეთერის“ მესამე აქტი, [illegible] მელშიც აბესალომის როლი შესასრულა [illegible] პუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანდღ[illegible] ძემ.

კონცერტის ვოკალურ განყოფილებაში [illegible] მოიდნენ ს. ინაშვილი, ბ. კრავეიშ[illegible] ბ. კუსევიცკი, პ. ამირანაშვილი, ვ. გერ[illegible] შვილი, რომლებმაც შეასრულეს ვანო [illegible] ჯიშვილის საყვარელი მთელი რიგი რომ[illegible] ბი და არიები.

ახალგაზრდა მომღერალმა ოლგა სა[illegible] შვილმა—გამოჩენილი მომღერლის ძმისწ[illegible] —რესპუბლიკის ახალხო არტისტ სა[illegible] ინაშვილთან ერთად შეასრულა „მოო[illegible] შენ ერთს“.

წარმატებით გამოვიდნენ ქართული ხალ[illegible] რი სიმღერების შემსრულებლები დეკა [illegible] ლები.

სახალხო არტისტმა სანდრო ინაშვილმ[illegible] სახელმწიფო ოპერის მსახიობმა გეგუ[illegible] შეასრულეს დუეტი „აბესალომ და ეთ[illegible] დან“.

ვოკალური ნომრების გარდა რუსთაველ[illegible] სახელობისა და მარჯანიშვილის სახელ[illegible] თეატრების მსახიობებმა—ა. ვასაძემ, გ. დ[illegible] თაშვილმა, ვ. ანჯაფარიძემ, ვ. გოძიაშვ[illegible] ჰ. კობახიძემ, მ. სულთანიშვილმა და სხ[illegible] მა შეასრულეს ნაწყვეტები „ჰამლეტიდან“ „ურიელ აკოსტადან“.

ტ. რაზმაძის ხელმძღვანელობით მეფ[illegible] კეთა ტროიოს მუსიკაზე მოცეკვავეებმა სა[illegible] შვილმა და რამიშვილმა შეასრულეს ლეკ[illegible]

ვ. ჭაბუკიანის შესანიშნავი დადგმით ნა[illegible] ნები იქნა მასობრივი მხედრული ცეკვა „[illegible] რუმი“.

საღამო დამთავრდა ხალხთა დიდი ბეჭ[illegible] ამხანაგ სტალინის ნაბრძანებ ქართველი ხალხის ხელოვანი შვილის ამხანაგ ლ. პ. ბერიას [illegible] ტივსაცემად ოპერის თეატრის გუნდის [illegible] „მრავალჟამიერის“ საზეიმო შესრულებ[illegible]

საღამოზე დირიჟორობდნენ გ. ჟილაძე, [illegible] აზმაიფარაშვილი, ო. დიმიტრიადი და [illegible] მირცხულავა, აკომპანიატორები იყვნენ კ[illegible] ცერტმეისტერები ტ. დუნნაკო და ა. ბ[illegible] დონი.

## ი. ა. კრილოვისადმი მიძღვნილი მოხსენებები

დიდი რუსი მწერლის ი. ა. კრილოვის გარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავად სამშაბათს, 28 ნოემბერს, დღის სამ საათზე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აუდიტორია № 86) შესდგება რუსული ენისა და რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრათა გაერთიანებული საჯარო სხდომა.

სხდომა გაიხსნება პროფესორ ალ. ბარამიძის შესავალი სიტყვით. წაკითხული იქნება შემდეგი მოხსენებანი: „ი. ა. კრილოვის ცხ[illegible] რება და შემოქმედება“—დოცენტ ა. ნიკ[illegible] ძისა, „Основа басенного языка Крыло[illegible] — პროფესორ დ. მგელაძისა, „კრილ[illegible] ქართულ მწერლობაში“—დოცენტ ა. ჩხეიძ[illegible] „Проблема русского литературного я[illegible] к начала XIX века“—პროფესორ კ. ი. ა[illegible] ვერდოვისა.

## ი. კოგკასი — სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ფრანგულ ჭიდაობაში

დამთავრდა ფრანგული ჭიდაობის ოსტატთა შეჯიბრება სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის სახელწოდების მოსაპოვებლად. როგორც მოსალოდნელი იყო, სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის სპპატიო სახელწოდება, მოიპოვა სპორტის დამსახურებულმა 